



**ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი**

**სამეცნიერო კონფერენცია
„კიტა აბაშიძე – 150“**



პროგრამა და თეზისები

**28 დეკემბერი
2020 წელი**

კოორდინატორი:

ასისტენტ-პროფესორი ლევან ბებურიშვილი

რეგლამენტი:

მოხსენება სხდომაზე – 15 წუთი

მსჯელობა – 5 წუთი

ორშაბათი, 28 დეკემბერი

12⁰⁰-14⁰⁰

კონფერენციის გახსნა

(ზუმის აიდი 941 9708 6517)

მისალმებები:

ნანა გაფრინდაშვილი პროფესორი, თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;

ლადო მინაშვილი, ასოცირებული პროფესორი, ახალი ქართული ლიტერატურის კათედრის ხელმძღვანელი

I სხდომა

სხდომის თავმჯდომარე - ასოცირებული პროფესორი

ლადო მინაშვილი

ლადო მინაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
კიტა აბაშიძის ნარკვევი ალექსანდრე ყაზბეგის შესახებ

ხათუნა კალანდარიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
გიორგი წერეთლის შემოქმედებითი მეთოდის კიტა აბაშიძისეული გაგებისათვის

ლევან ბებურიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
კიტა აბაშიძის კრიტიკული მეთოდოლოგია (ზოგადი შენიშვნები)

თეა სუმბაძე

წმიდა ანდრიას სახელობის ქართული უნივერსიტეტი
მხატვრული ფორმისა და შინაარსის ურთიერთმიმართების პრობლემა კიტა აბაშიძის ნააზრევში

სოსლან სურმანიძე

წმიდა ანდრეას სახელობის ქართული უნივერსიტეტი

კიტა აბაშიძე – ილია ჭავჭავაძის ლირიკული პოეზიის შემფასებელი

ინგა ფუტკარაძე

ნიკა გიგაური

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**პოლიტიკური რეალიზმი და პოლიტიკური რომანტიზმი
კიტა აბაშიძის, არჩილ ჯორჯაძისა და ივანე ჯავახიშვილის
ნააზრევში (შედარებითი ანალიზი)**

დიანა ბიტვარდი

კავკასიის უნივერსიტეტი

**თ. დოსტოევსკის მოთხრობის „სასაცილო ადამიანის
სიზმრი“ მთავარი გმირის საკითხისათვის**

II სხდომა

14³⁰-16³⁰

(ზუმის აიდი 941 9708 6517)

სხდომის თავმჯდომარე - პროფესორი მარიამ ფილინა

მარიამ მირესაშვილი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ტენდენციურობის იდეა XX საუკუნის ხელოვნებაში

მარიამ ფილინა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**კიტა აბაშიძე - ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანის“ და
ადამ მიცკევიჩის „ფარისის“ - მკვლევარი**

ზაირა დავარაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისის ებრაული სათემო სახლის ისტორიისათვის
ებრაული ცხოვრების ინფრასტრუქტურული კომპლექსი

ეკატერინე ნავროზაშვილი,

ნანა გონჯილაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ალ. გრიბოედოვის კომედიის „ვაი ჭკუისგან“ ქართული
თარგმანების რეცეფცია

ანა მინდიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილისა“ და ლევ
ტოლსტოის „მამა სერგის“ შედარებითი ანალიზი

კოტე ლომიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სამედიცინო კანიბალიზმის კვალი სულხან-საბა
ორბელიანის ნაწარმოებში

ლევან ბებურიშვილი

კიტა აბაშიძის კრიტიკული მეთოდოლოგია (ზოგადი შენიშვნები)

ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიაში სრულიად გამორჩეულია კიტა აბაშიძის ღვაწლი. მან, მრავალმხრივი ინტერესების მქონე ინტელექტუალმა, პირველმა შექმნა მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის სისტემური კურსი გარკვეულ თეორიულ-მეთოდოლოგიურ თვალსაზრისზე დაყრდნობით.

კიტა აბაშიძე საფუძვლიანად იცნობდა თავისი თანამედროვე ევროპული (განსაკუთრებით – ფრანგული) ლიტერატურათ-მცოდნეობის მიღწევებს. ქართველი კრიტიკოსი მიუთითებებს თავისი შრომების ერთ-ერთ ძირითად მეთოდოლოგიურ წყაროზე – ევოლუციური კრიტიკის წარმომადგენლის, ფერდინანდ ბრუნეტიერის ნააზრევზე.

მართალია, კიტა აბაშიძე ეყრდნობა ფრანგი კრიტიკოსის მეთოდოლოგიას, მაგრამ მათ შორის გარკვეული სხვაობაცაა. კერძოდ, თუ ბრუნეტიერი ლიტერატურის ისტორიის შექმნისას უპირატესად ლიტერატურული ჟანრების ევოლუციით ინტერესდება, კიტა აბაშიძე ქართული მწერლობის მაგალითზე ლიტერატურულ მიმდინარეობათა განვითარების პროცესის აღწერას ისახავს მიზნად.

XIX საუკუნის ლიტერატურის ისტორიის შექმნისას კიტა აბაშიძე ყურადღებას უთობს არა ყველა მწერლის შემოქმედებას, არამედ მხოლოდ მათ ნააზრევს, რომლებიც ლიტერატურის ევოლუციის პროცესში რომელიმე ეტაპის გამომხატველებად გვევლინებიან. კიტა აბაშიძის უდიდესი დამსახურება იყო ის ფაქტი, რომ მან ევროპულ ლიტერატურათმცოდ-

ნეობით კატეგორიებზე (რომანტიზმი, რეალიზმი, ნატურალიზმი, სიმბოლიზმი) დაყრდნობით სცადა XIX საუკუნის ქართული მწერლობის შესწავლა და იმის ნათელყოფა, რომ ქართული ლიტერატურა განუყოფელი ნაწილია ევროპული კულტურისა.

დიანა ბიტვარდი

თ. დოსტოევსკის მოთხრობის „სასაცილო ადამიანის სიზმრი“ მთავარი გმირის საკითხისათვის

ფ. დოსტოევსკის ნაწარმოების – „სასაცილო კაცის სიზმარი“ – კონცეფციის შესწავლის ლიტერატურული ტრადიცია უკმარისობის განცდას ტოვებს. აღნიშნული გარემოება განპირობებულია ნაწარმოების სირთულით, მწერლისათვის ცოტა უჩვეულო სიუჟეტური და კომპოზიციური ელემენტების გამოჩენით მოთხრობაში. მკვლევარების უმეტესობა ამ სიუჟეტის საფუძვლებში გარკვეული რელიგიური წარმოდგენების სისტემას პოულობს, – თავისი დამახასიათებელი ხედვით სამოთხის, ჯოჯოხეთის, უკვდავების, სიკეთისა და ბოროტების საკითხებზე. ამასთან, სწორედ ნაწარმოების რელიგიურ-ფილოსოფიური საფუძვლების საზღვრების გარკვევისას ჩნდება მისი განსხვავებული წაკითხვები.

ნაწარმოების კონცეფციის ზუსტი ინტერპრეტაციისთვის, პირველ ყოვლისა, საჭიროა გამოირიცხოს ის ელემენტები, რომლებიც მიუღებელია დოსტოევსკის შინაგანი მართლმადიდებლური სამყაროსთვის.

მოთხრობაში თვალსაჩინოა სიუჟეტისა და იდეის უშუალო კავშირი ყურანთან, კერძოდ, სურასთან „ღამეული გადაყვანა“. მწერალი გვიჩვენებს, გმირის ზნეობრივსა და სუ-

ლიერ ტრანსფორმაციას, რომელიც ასოცირდება წინასწარ-მეტყელის ცხოვრების ეტაპებთან.

საგარეო მოვლენები, ისტორიული კატაკლიზმები, 1876 წლის რუსეთ-თურქეთის ომი, რუსეთის იმპერიაში მართლმადიდებელთა და მუსლიმთა ურთიერთობის ანალიზი, ამ პერიოდისთვის დამახასიათებელი დოსტოევსკის ქსენოფობია საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მოთხრობაში არ გვაქვს საქმე ყურანის სიუჟეტის პოეტიზაციასთან. პირიქით, ისლამის განვითარების ძირითადი ეტაპები გადმოცემულია დაფარული ფორმით და იმ პერსპექტივიდან, რომელიც ამ პერიოდის დოსტოევსკისთვის საკვანძო იყო.

მწერალი ცდილობს გვიჩვენოს, რომ ნებისმიერი არამართლმადიდებლური რელიგიური მიმართულება არის სულის „თვითმკვლელობა“, ყველა ღირებულების გადაფასება – არის ხრწნა, უმანკობისა და უდრტვინველობის მიტოვება. ცრუ მოციქულს თან მოაქვს ომები, ხოლო ომებისა და სისხლის გზით მივყევართ ახალი ცოდნისკენ და ახალი თავსმობვეული „სიყვარულისკენ“.

ზაირა დავარაშვილი

თბილისის ებრაული სათემო სახლის ისტორიისათვის ებრაული ცხოვრების ინფრასტრუქტურული კომპლექსი

2003 წლის 1 აგვისტო გამორჩეულ დღედ ჩაინერა საქართველოს ებრაელთა ისტორიაში. ამ დღეს საქართველოს ებრაულმა თემმა, თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, ამერიკელ ებრაელთა გაერთიანებული გამავრცელებელი კომიტეტის „ჯონთის“ დიდი მხარდაჭერით, უშუალო მონაწილეობითა და დახმარებით, პირველად გადააბიჯა ებრაული სათემო სახლის ზღურბლს. სახლის გახსნის ცე-

რემონიალში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ებრაული თემის მრავალმა წარმომადგენელმა, მათ შორის თემის გამომჩენილმა მოღვაწეებმა, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალურმა პირებმა, მრავალი ქვეყნის ელჩმა, ცნობილმა ბიზნესმენებმა და მეცენატებმა, სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, რესპუბლიკის მეცნიერებისა და კულტურის გამომჩენილმა მოღვაწეებმა.

ეს დღე საქართველოს ებრაული თემისათვის თავისი ქველმოქმედებით ისტორიული გახადა ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ პიტსბურგში მცხოვრებმა პოზნერების ოჯახმა. ქალბატონ ენ მოლოისა და ბატონ ჰენრი პოზნერ მესამის არსებობა და ქმედებანი ამართლებენ მშვენიერ გამოხატვას: „იცხოვრო-ნიშნავს იცხოვრო სხვებისთვისაც“. პოზნერების ოჯახთან ერთად თბილისის ებრაული სათემო სახლის დაარსებაში გარკვეული წვლილი მიუძღვის საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესს (პრეზიდენტი, ან განსვენებული მ. გ. მირილაშვილი), „ჯონთის“ ორგანიზაციას (იერუსალიმის „ჯონთის“ მაშინდელ კოორდინატორს კავკასიაში მეირ ზიზოვს, „ჯონთის“ წარმომადგენელს საქართველოში სერგო ვლასოვს), მეცენატს ილია მოსიაშვილს.

ებრაული სახლის შექმნით საქართველოში „ჯონთის“ ეგიდით არსებულმა მოქმედმა ორგანიზაციებმა ფრთები შეასხეს კიდევ ერთ ცნობილ ბიბლიურ გამოთქმას, რომელიც ებრაული სახლის ფუნქციონირების დევიზადაც იქნა მიჩნეული: „ჰინე მა ტოვ უმა ნაიმ შევეთ ახიმ გამ იახად, - „რა კარგი და რა საამურია, როცა ძმები ერთად არიან“. დიახ, მხოლოდ კოლექციალური თანამშრომლობით, ურთიერთპატივისცემით, ერთობლივი პროფესიონალური და ხარისხიანი მოღვაწეობით განხორციელდებოდა ებრაული სახლის ძირითადი მისია, რაც საქართველოს ებრაული თემის მსოფლიო ებრაელობასთან ინტეგრაციის მყარი გარანტია იქნებოდა.

ებრაული სათემო სახლის გახსნით დაგვირგვინდა საქართველოში „ჯონთის“ მოღვაწეობის პირველი ათწლეული სოციალურ, კულტურულ, საგანმანათლებლო, საქველმოქმედო, აღმზრდელობით, სულიერ სფეროებსა და თემის აღმშენებლობის საქმეში. ამ სახლის დაარსებით დასაბამი მიეცა კერას, რომელიც განათლების, კულტურის, ტრადიციების, მეგობრობის განმტკიცებისა და სხვა კეთილშობილური მიზნების განხორციელებისთვის იყო მოწოდებული.

თბილისის ებრაული სათემო სახლის ძირითადი მიზანია: როგორც ებრაულ სახლში შემავალი, ასევე მის გარეთ არსებული ორგანიზაციების განვითარება; ებრაული (და არა მხოლოდ ებრაული) თემის წევრების ცხოვრების დონის ამაღლება, ებრაული თვითშეგნების განმტკიცება; ებრაული განათლებისა და კულტურის განვითარება; ებრაელ და ქართველ ხალხებს შორის ჩამოყალიბებული ისტორიული კავშირების განვითარება-განმტკიცება ებრაული სახლის მისიის დეკლარაციის შესაბამისად, რომლის მიღება და ხელმოწერა 2003 წლის 24 სექტემბერს მოხდა საქართველოს ებრაული თემის, ისრაელისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელებისა და მეცენატების მიერ.

ხათუნა კალანდარიშვილი

გიორგი წერეთლის შემოქმედებითი მეთოდის კიტა აბაშიძისეული გაგებისათვის

კიტა აბაშიძე, როგორც ლიტერატურის ისტორიკოსი, იზიარებდა ფრანგი მკვლევრის, ფერდინანდ ბრუნეტიერის მეთოდს, რომელიც ჩარლზ დარვინის ევოლუციის თეორიის საფუძველზე ჩამოყალიბდა. ამ პრინციპით მოახდინა მან მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის სისტემატიზაცია. გიორგი წერეთელს წილად ხვდა რეალიზმის დეკადანსის საფეხურის

ჩვენება, რაც, კიტა აბაშიძის შეხედულებით, ნატურალიზმში გამოიხატა.

კიტა აბაშიძის მიხედვით, ნატურალიზმი რეალიზმის ნაირსახეობაა. დიდი ხელოვანის შემთხვევაში სინამდვილე აისახება სიღრმისეულად, „მეცნიერული“ სიზუსტით; ნაკლები ტალანტის მწერალთან კი სინამდვილის უფრო ზერეულე გამოსახვას ვხვდებით.

გ. წერეთლის მხატვრული მემკვიდრეობის განხილვის შედეგად კიტა აბაშიძე ასკვნის, რომ იგი სავსებით ამართლებს ნატურალისტი მწერლის სახელს, რამდენადაც ცხოვრებაში მხოლოდ უარყოფით მხარეებს ხედავს, „უბადრუკ, უმარილო და უფერულ“ ყოველდღიურობას გამოსახავს, გაურბის დიდი, მნიშვნელოვანი მოვლენების აღწერას, მის პერსონაჟთა სახეები ჩამოუყალიბებელი და დაუსრულებელია, მხატვრული ხერხები – უფერული და შეუსაბამო, მოთხრობათა სიუჟეტები – შაბლონური. „გ. წერეთელი მართო მოვლენათა უფერულ და მშრალ ზედაპირსა ხედავს და ვერ არჩევს, რა განსხვავებაა ხშირად ერთსა და იმავე მოვლენაში, რომელიც გარეგანი მხრით ერთნაირად გვესახება“ (კიტა აბაშიძე).

თუმცა ვფიქრობთ, რომ გიორგი წერეთლის თხზულებებში არ იგრძნობა სინამდვილის დანაწევრების, მისი ზედაპირული ჩვენების ტენდენცია. არც ცხოვრების უარყოფითი მხარეების საგანგებო ჩვენება ან ჭუჭყიანი და უსიამოვნო სურათების შექმნა წარმოადგენს მწერლის მიზანს. რეალურ ვითარებას ყველაზე უკეთ განმარტავს აკაკი წერეთლის შეფასება: გიორგი წერეთლის უაღრესად მრავალმხრივი საქმიანობით აიხსნება, რომ „მის შრომას ორგვარი ბეჭედი აზის, ზოგს ნიჭისა, ზოგს მოქანცვის“.

ზემოთქმულიდან გამომდინარე უნდა აღვნიშნოთ, რომ გ. წერეთლის ნატურალისტად გამოცხადების საფუძველი, თვით კიტა აბაშიძის მიერ მომარჯვებული კრიტიკიუმიების მიხედვით, არ არსებობს.

კოტე ლომიძე

სამედიცინო კანიბალიზმის კვალი სულხან-საბა ორბელიანის ნაწარმოებში

მოხსენებაში გაანალიზებულია სულხან-საბა ორბელიანის არაკი „დიდვაჭარი და მეფუნდუკე“. მოცემულ არაკში მოყვანილია კეთრისაგან კურნების შემზარავი საშუალება, რომელსაც თანამედროვე მკითხველი ჰიპერბოლად აღიქვამს.

სტატიაში ნაჩვენებია, რომ აღნიშნული მეთოდი, კერძოდ, დაავადების წამლობა ადამიანის სისხლით, შესაძლოა, სულაც არ იყოს მხატვრული გამონაგონი. როგორც შესაბამისი ლიტერატურის გაცნობა გვარწმუნებს, სამედიცინო კანიბალიზმი არაა უცხო იმ პერიოდის ევროპისთვის და გამორიცხული არ არის, რომ ს. ს. ორბელიანი იცნობდა ამგვარ პრაქტიკას.

გამოთქმულ ვარაუდს აძლიერებს ის, რომ არაკში დასახელებული „წამალი“ თითქმის იდენტურია როგორც ინგლისელი მკურნალის დანიშნულებისა, ასევე საფრანგეთის მეფის, ლუი XI-ის, ექიმთა „რეცეპტებისა“. წარმოდგენილი ცნობების გათვალისწინებით გაკეთებულია დასკვნა, რომ „დიდვაჭარისა და მეფუნდუკის“ დანერის დროს განსხვავებული იყო როგორც ავტორისეული ჩანაფიქრი, ისე არაკის რეცეფცია.

ლალო მინაშვილი

კიტა აბაშიძის ნარკვევი ალექსანდრე ყაზბეგის შესახებ

კიტა აბაშიძე იყო ის ლიტერატურის კრიტიკოსი და ისტორიკოსი, რომელმაც თავის „ეტიუდებში..“ XX საუკუნის დასაწყისში არსებითად ახსნა და უპასუხა მკითხველის მაღალ ინტერესს ალ. ყაზბეგის შემოქმედების მიმართ. მისი ეტიუდი ახალი ეტაპის დასაწყისი იყო ალ. ყაზბეგის პროზის

კვლევის საქმეში. კრიტიკოსმა პირველმა მკითხველ საზოგადოებას წარუდგინა ალ. ყაზბეგის შემოქმედება არსებითად გათავისუფლებული იმ შენიშვნათაგან, რომლებიც მწერალს მისმა თანამედროვე კრიტიკოსებმა წაუყენეს (ეთნოგრაფიზმი, თემატური ერთფეროვნება, ინტერესთა შეზღუდულობა, პერსონაჟთა ერთფეროვნება და ა.შ.).

თავისი კვლევითი კონცეფციიდან გამომდინარე, რომელიც თავის მხრივ, ფრანგი ლიტერატურისმცოდნის ბრუნეტიერის თვალსაზრისს ეყრდნობოდა, კიტა აბაშიძემ ალ. ყაზბეგი ნეორომანტიზმის გამომხატველად მიიჩნია ჩვენში; ამის პირობად კ. აბაშიძე თვლიდა მწერლის გამძაფრებულ ინტერესს მაღალი ადამიანური გრძნობების-სიყვარულის, მეგობრობის და ა.შ მიმართ.

ნეორომანტიკოსად მწერლის გამოცხადება დიდ კრიტიკოსს ხელს არ უშლიდა ყაზბეგის ცალკეული თხზულების ანალიზისას ელიარებინა იგი ქეშმარიტ რეალისტად.

კიტა აბაშიძის დიდი დამსახურება იყო ის, რომ მან ალ. ყაზბეგი ჩართო XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორიაში, დაუკავშირა რა მისი შემოქმედება ილია ჭავჭავაძის რეალისტურ სკოლას, როცა ეტიუდს წინ წაუძღვარა ილიას სიტყვები „მგზავრის წერილებიდან“: „მიგიხვდი, ჩემო მოხევე..“, ხოლო ნარკვევი პირდაპირ ასე დაიწყო: „ილია ჭავჭავაძის მომდევარია პროზაში ალექსანდრე ყაზბეგი“.

ანა მინდიაშვილი

ილია ჭავჭავაძის შომა „განდეგილისა“ და ლევ ტოლსტოის „მამა სერგის“ შედარებითი ანალიზი

მოხსენებაში შესადარებლად ავიღეთ XIX საუკუნის ორი გამორჩეული მწერლის ილია ჭავჭავაძისა და ლევ ტოლსტოის ნაწარმოებები: „განდეგილი“ და „მამა სერგი“, რომლებიც ერთ თემაზეა დანერგილი, ესაა განდეგილობა და ადამიანის შინაგანი ბრძოლა საკუთარ თავთან. მათში ასახულია

ამ გზაზე შემდგარი პიროვნების მიერ ქვეშარიტების ძიების პროცესი, განსაცდელისგან განრიდების მცდელობა და ამ დროს ყველაზე დიდი განსაცდელის, საკუთარი სისუსტეების წინაშე მართო დარჩენა.

ლევ ტოლსტოის ნაწარმოები ილია ქავჭავაძისაგან განსხვავებით მთავარი პერსონაჟის სტეპან კასატსკის სახის, მისი პიროვნებისა და ბერობამდელი ცხოვრების თითქმის ზედმინევნითი აღწერით იწყება, გვაცნობს მის ხასიათს, წარმატებებსა და მიღწევებს, მთავარ ნაკლს - სიფიცხეს და იმ მიზეზს, რის გამოც, მთელი თავისი კარიერა დათმო და ქორწინებამდე ცოტახნით ადრე, საერო ცხოვრებას მოშრდა. მან საცოლესგან, რომელისადმიც ძალიან წმინდა და უმანკო დამოკიდებულება ჰქონდა, შეიტყო, რომ იმპერატორის საყვარელი იყო და ამან კასატსკის პატივმოყვარეობაზე ძალიან იმოქმედა; ჩვეულებრივი ადამიანთან რომ ელალატა, უთუოდ მოკლავდა მას. მაგრამ ასეთ სიტუაციაში მან ამქვეყნიური ცხოვრება მოიძულა და სასონარკვეთილმა დატოვა ყველაფერი. მასში ავტორის თქმით, ქვეშარიტ რელიგიურ გრძნობებთან სიამაყე და პირველობის სურვილი იყო გადახლართული. ილია ქავჭავაძის პოემაში მთავარი პერსონაჟის ასეთ შესავალს არ ვხვდებით, იქ თხრობა პირდაპირ მონასტერში მისული მწირის შესახებ იწყება, რომლის ბიოგრაფიასაც არ ვიცნობთ, მონასტერში მოსვლის მხოლოდ ზოგადი მიზეზია ნახსენები.

ილიას პოემაში ერთი კაცი გადანყვეტს ეშმაკის საცდურით სავსე წუთისოფლისგან განრიდებას და მთის წვერზე არსებულ უკაცრიელ გამოქვაბულში წასვლას, სადაც არავინ ეგულებოდა. ასევე იქცევა სტივა, ბერობაში მამა სერგი, რომელიც ჯერ მორჩილად წავიდა მონასტერში, შემდგომ აღიკვეცა და ბერის ბრძანებებს უკლებლივ, მორჩილად ასრულებდა. იგი აქაც სრულყოფილებისაკენ მიისწრაფოდა, სურდა ყველა ქრისტიანული სათნოების მიღწევა, რაც თავდაპირველად ძალიან მარტივად ეჩვენებოდა. ყველა ცოდვა

დაძლია და ეს ძალიან ახარებდა. ერთგვარი იდეალისტური მიდგომა ჰქონდა ამ საკითხისადმი. ასეთივე იყო ილიას პოემის მთავარი პერსონაჟიც. კასატსკიც, საცდურს განრიდებული, საბოლოოდ ადამიანებისგან შორს, მთის წვერზე, გამოქვაბულში არსებულ მონასტერში წავა, რათა თავისი შინაგანი ბრძოლები დაძლიოს.

ზოგადად ორივე პერსონაჟის მონასტერში წასვლა გამოინვია, ამქვეყნიური ცხოვრებით უკმაყოფილებამ და მისგან განრიდების სურვილმა. მათი ეს ქმედება უფრო რეალობიდან გაქცევას ჰგავს, ვიდრე ბერად შედგომისთვის მზაობას. ორივეს ამქვეყნიური ცხოვრებით სასონარკვეთამ უბიძგა განდევნილობისკენ. აქვე ჩნდება საერთო საცდური ქალის სახით, რაც არათუ ამ ორ ნაწარმოებში, არამედ მსოფლიო ლიტერატურაში ცნობილი თემაა და სათავეს ჯერ კიდევ ჰაგიოგრაფიული ტექსტებიდან იღებს.

მარიამ მირესაშვილი

ტენდენციურობის იდეა XX საუკუნის ხელოვნებაში

XX საუკუნის ესთეტიკაში ტენდენციურობის იდეაზე საუბრისას აღსანიშნავია ჟან პოლ სარტრის მიერ შემოტანილი და დამკვიდრებული ხელოვანის „ანგაჟირებისა“ და „გადაბირების“ კატეგორიები, რომლებიც ახლოს დგანან სოციალური დაკვეთის იდეასთან (ესპანურ ენაზე ფრანგულ სიტყვას “l’engagement” შეესატყვისება “compromiso”; ამდენად, გამოთქმა „ანგაჟირებული ხელოვნება“ ესპანურად ჟღერს, როგორც “arte comprometido”, ანუ ხელოვნება, რომელმაც თავის თავზე ვალდებულებები აიღო). მოგვიანებით ედმუნდ ჰუსერლიმ და მისმა ფენომენოლოგიურმა სკოლამ წინა პლანზე წამოსწიეს ინტენციონალურობის გნოსეოლოგიური კატეგორია, რომელიც გულისხმობდა შემეცნების წარმარ-

თვას სასურველი მიმართულებით. ლენინური პარტიულობის პრინციპისგან განსხვავებით, ფენომენოლოგიას მხედველობაში აქვს შემეცნების წარმართვა არა სოციალურ, არამედ სუბიექტურ-პირადულ ასპექტში. ანალოგიურად, სუბიექტურ-პირადულ შინაარსს გულისხმობს „გააზრებული“ ფაქტის ფენომენოლოგიური იდეა. ამ შემთხვევაშიც შემეცნების აქტივობა რეალობასთან მიმართებით არის აღიარებული, მაგრამ, მარქსიზმის პოსტულატებისგან განსხვავებით ეს აქტივობა არ არის ნაკარნახევი პარტიული ინტერესებისათვის მსახურების ამოცანით. „ინტენციონალურობა“ (ჰუსერლი), ხელოვანის „ანგაჟირებულობა“ და „გადაბირება“ (სარტრი), ფაქტის „გააზრება“ (ფენომენოლოგია), „ხალხის სამსახური“ (იბსენი), „მწერლის მოვალეობა“ ხალხის წინაშე (ბლოკი), „სოციალური მიმართულება“ (XXს-ის დასაწყისის რუსული კრიტიკა), „ტენდენციურობა“ (მარქსი), „პარტიულობა“ (ლენინი), „სოციალური დაკვეთა“ (რაპპელები, ვულგარული სოციოლოგიზმი), „პატრონატი“, „მეცენატობა“ (ჰოლოუეი) – აი, არასრული ჩამონათვალი ტერმინებისა, რომლებსაც გვთავაზობს XX საუკუნის ფილოსოფია, ესთეტიკა, გნოსეოლოგია. თითოეული მათგანი განსხვავებული დოზით უსვამს ხაზს სუბიექტურობის როლს რეალობის აღქმასა და გაგებაში, შემოქმედებით გააზრებაში. არსობრივად, ზემოაღნიშნული ტერმინები ახლოს დგანან ერთმანეთთან. თუმცა, ზოგიერთ მათგანში სოციალური პასუხისმგებლობა და შემოქმედის სოციალური მოვალეობა იკვეთება როგორც საზოგადოების, ხალხის, კლასის მიერ ხელოვანზე დაკისრებული, თავსმობვეული სულიერი კონტრიბუცია.

ეკატერინე ნავროზაშვილი
ნანა გონჯილაშვილი

ალ. გრიბოედოვის კომედიის „ვაი ჭკუისგან“
ქართული თარგმანების რეცეფცია

ალ. გრიბოედოვი თავის პიესას – „ვაი ჭკუისაგან“ – რამდენიმე წლის განმავლობაში წერდა. კომედიის შექმნაზე ფიქრი მას 1820 წლიდან დაუწყია (ს. ნ. ბეგიჩევის გადმოცემით, 1816 წლიდან), ხოლო თბილისში შესდგომია ჩანაფიქრის განხორციელებას (ამ საკითხთან დაკავშირებით მკვლევრები განსხვავებულ მოსაზრებებს გამოთქვამენ). 1823 წელს ალ. გრიბოედოვს კომედიის პირველი ვარიანტი «Горе мое» დაუსრულებია. ერთი წლის შემდეგ კი, როგორც სათაური («Горе от ума»), ასევე პიესის ზოგიერთი ადგილი საფუძვლიანად გადაუკეთებია. ნაწარმოები მწერლის სიცოცხლეშივე ვრცელდებოდა ხელნაწერის სახით. ასევე იბეჭდებოდა მისი ცალკეული ნაწილებიც. ცენზურის მიერ მნიშვნელოვნად ჩასწორებული პიესა 1833 წელს გამოიცა, კომედიის სრული ტექსტი კი – მხოლოდ 1862 წელს.

კომედია საინტერესოა არაერთი ასპექტით: აქტუალური თემატიკით, სტრუქტურით, რეალიებისა და ნაციონალური კოლორიტის შემცველი იდიომატური გამონათქვამებით და ა. შ., რომელთა ერთი ენიდან მეორე ენაზე გადმოტანა მთარგმნელისგან დიდ ნიჭსა და გამოცდილებას მოითხოვს.

უნდა აღინიშნოს, რომ მე-19 საუკუნის 30-იან წლებში უკვე ჩნდება კომედიის უცხო ენაზე ამეტყველების ცდები. პირველი გერმანული და პოლონური თარგმანები 1931 წლით თარიღდება (მთარგმნელები არიან: კარლ ფონ კნორრინგი, ლუის შნაიდერი, აპოლ კოჟენოვსკი). მოგვიანებით ნაწარმოები ითარგმნა ინგლისურ, ფრანგულ, ლატვიურ, თურქულ, სომხურ და ა.შ. ენებზე. მკვლევართა ცნობით, დღეისათვის პიესის 25 ენაზე შესრულებული 90 თარგმანი არსებობს. ალ.

გრიბოედოვის პიესის როგორც ტექსტი, ასევე თარგმანები საფუძვლიანადაა შესწავლილი რუსი და უცხოელი მკვლევარების მიერ (ე. ვ. აბლოგინა, ნ. ე. რაზუმოვა, ნ. პ. ვორონოვა, მ. ა. გამაზოვი, ნ. ა. სოლოვევა, ლ. ვინერი...)

ალ. გრიბოედოვის კომედიის გრიგოლ წინამძღვრიშვილისეული პირველი ქართული თარგმანი 1853 წელს დაიბეჭდა. თარგმანს ერთვის შესავალი და ბოლოსიტყვაობა. წინასიტყვაობაში მთარგმნელი მკითხველს სთავაზობს ალ. გრიბოედოვის ბიოგრაფიას, საკუთარ მოსაზრებებს კომედიის სახელწოდების შესახებ. ბოლოსიტყვაობაში გრ. წინამძღვრიშვილი „მართებულად აფასებს გრიბოედოვის კომედიის მნიშვნელობას“, საუბრობს თავის მთარგმნელობით პრინციპებზე, ამართლებს საკუთარ არჩევანს – თავისუფალი თარგმანის მეთოდს.

არსებობს ცნობა, რომ ალ. გრიბოედოვის პიესა (შექსპირის „რომეო და ჯულიეტასთან ერთად) ალექსანდრე ყაზბეგსაც უთარგმნია.

1898-1899 წლებში ქართველი მკითხველი ჟურნალ „კვალში“ ალ. გრიბოედოვის კომედიის დომინიკა ერისთავისეულ (განდეგილი) თარგმანის ცალკეულ ნაწილებს გაეცნო. 1902 წელს დ. ერისთავის ეს თარგმანი ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით ცალკე წიგნადაც გამოიცა.

მოგვიანებით პიესა კიდევ ერთხელ ითარგმნა ქართულ ენაზე. კომედიის სიკო ფაშალიშვილისეული თარგმანი მრავალმხრივ საყურადღებოა.

მოსხენებაში წარმოდგენილია ალ. გრიბოედოვის კომედიის ქართული თარგმანებიდან გრ. წინამძღვრიშვილის, დ. ერისთავისა და ს. ფაშალიშვილის თარგმანების ანალიზი (კვლევისას ვეყრდნობით: ალ. გრიბოედოვის ტექსტის „Горе от ума“-ს ინტერნეტვერსიას (<https://ilibrary.ru/text/5/p.1/index.html>), ხოლო ქართული თარგმანებისთვის: 1853 წელს გამოცემულ გრ. წინამძღვრიშვილის, 1902-1903 წწ. ჟურნალ

„მოამბის“ ნომრებში დაბეჭდილ დ. ერისთავისა და 1960 წელს გამოცემულ სიკო ფაშალიშვილის ტექსტებს).

ნაშრომში განხილულია ალ. გრიბოედოვის ნაციონალური კოლორიტის შემცველი იდიომატური გამონათქვამების («закрутить хохол», «быть в случае»...), რეალიების («грош»...), ფუნქციური სახელების (Фамусов, Репетилов, Чацкий თავდაპირველი ვერსიით Чацкий,) თარგმანებში გადმოტანის გზები თუ საშუალებები, ქართულ თარგმანებში არსებული ბარბარიზმები (გრ. წინამძღვიშვილთან გვხვდება: ვეჩერი, ბალი, ფრანცუზი, სკუჩრობა... ამ მხრივ გამონაკლისს არც დომინიკა ერისთავის თარგმანი წარმოადგენს), შესწავლილია, როგორ იცვლება (დროის გათვალისწინებით) პიესის ქართულ თარგმანებში მთარგმნელობითი პრინციპები, პოეტიკა, ენობრივი მარკერები (თარგმანებისთვის დამახასიათებელია: სუბიექტივიზმი, რუსული ლექსიკური ერთეულების, იდიომების არასწორად აღქმა და, შესაბამისად, გადმოტანა, კლება-მატება ...) და ასევე ნაჩვენებია, რა ადგილი ეკავა ალ. გრიბოედოვის პიესის „ვაი ქვიისაგან“ თარგმანებს ქართულ სალიტერატურო სივრცეში.

თეა სუმბაძე

მხატვრული ფორმისა და შინაარსის ურთიერთმიმართების პრობლემა კიტა აბაშიძის ნააზრევში

მხატვრული ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის ურთიერთმიმართება ესთეტიკის ერთ-ერთი ძირეული პრობლემაა. ამ საკითხს საგანგებო ნაშრომს უძღვნის თვალსაჩინო ქართველი კრიტიკოსი კიტა აბაშიძე. 1910 წელს „სახალხო გაზეთში“ (# 66) კიტა აბაშიძე აქვეყნებს წერილს „აზრი თუ ფორმა, შინაარსი თუ სხეული“, რომელშიც ავტორი

ამ ზოგადთეორიული პრობლემის ირგვლივ საკუთარ მოსაზრებას გვთავაზობს.

კრიტიკოსი მოკლედ მიმოიხილავს საკითხის ირგვლივ არსებულ ორ ძირითად თვალსაზრისს. ერთის მიხედვით, ნაწარმოებში მთავარია მისი იდეური შინაარსი, ტენდენცია, მეორე შეხედულების თანახმად კი, ხელოვნების ქმნილების მთავარი ღირსება მხატვრულ ფორმაში მდგომარეობს.

კიტა აბაშიძე აღნიშნულ საკითხს ქართულ კლასიკურ ლიტერატურაზე (განსაკუთრებით – „ვეფხისტყაოსანზე“) დაყრდნობით განიხილავს და მიდის დასკვნამდე, რომ ფორმა და შინაარსი „განუყოფელი, განუყრელი რამ არის ხელოვნებაში“. მხატვრული ტექსტი ორგანული მთლიანობაა და დაუშვებელია ფორმისა და შინაარსის ერთმანეთისაგან მონყვეტა, მათი იზოლირებულად განხილვა.

შინაარსისა და ფორმის „ჰარმონიული შეთანხმება“, ფორმა-შინაარსის განუყოფელი მთლიანობა, კიტა აბაშიძის აზრით, არის ქეშმარიტი ხელოვნების ნაწარმოების არსებობის ერთადერთი ფორმა.

სოსლან სურმანიძე

კიტა აბაშიძე – ილია ჭავჭავაძის ლირიკული პოეზიის შემფასებელი

კიტა აბაშიძემ კრიტიკული პუბლიკაციების გამოქვეყნება პერიოდულ პრესაში მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში დაიწყო.

1898 წელს მან ჟურნალ მოამბის ორ ნომერში (#8, 9) გამოაქვეყნა ეტიუდი ილია ჭავჭავაძეზე („ეტიუდები ქართულის ლიტერატურიდან: თ-დი ილია ჭავჭავაძე“), რომელიც მცირედი რედაქტირების შემდეგ ავტორმა შეიტანა თავის

ფუნდამენტურ ნაშრომში „ეტიუდები მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ“ (1911-1912).

სხვა საკითხებთან ერთად კიტა აბაშიძე თავის ეტიუდში ილია ჭავჭავაძის ლირიკულ პოეზიასაც განიხილავს. უპირველესი ნიშანი ილიას ლირიკისა, კრიტიკოსის თქმით, არის ის, რომ პოეტმა მანამდე არნახული ძალით გააახმიანა ჩვენს ლიტერატურაში პატრიოტული მოტივი. ღვთაებრივი გრძნობა მამულის სიყვარულისა აქცია მან თავისი ლირიკის მამოძრავებელ ძალად. კიტა აბაშიძის თვალსაზრისით, საპროგრამო იყო პოეტის სიტყვები „მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი, ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს“. მისი თქმით, ილიას „განსხვავება სხვა პოეტებისაგან აქვე იწყება“. კიტა აბაშიძის განსაზღვრებით, საქართველოს აღდგენა იქცა „იდეა-ფიქსად“ ილიას შემოქმედებისა. ეს განცდა წარმართავდა ილიას მთელს ლიტერატურულ მოღვაწეობას და ამაზე მეტყველებს პოეტის ერთ-ერთი ბოლო ლექსიც („ბაზალეთის ტბა“).

კიტა აბაშიძე უპირისპირდება ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ილიას, როგორც ლირიკოსს, აკლია ნიჭი და ერთგვარად ეძნელება გრძნობათა გამოხატვა ლირიკული ფორმით.

მარიამ ფილინა

**კიტა აბაშიძე - ნიკოლოზ ბარათაშვილის
„მერანის“ და ადამ მიცკევიჩის „ფარისის“ -
მკვლევარი**

ადამ მიცკევიჩის „ფარისი“ და ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“ ის ლექსებია, რომლებიც როგორც მძლავრი კულტურული ფაქტორები, მთლიანობაში ქართული და პოლონური რომანტიზმის შედარების აუცილებლობისაკენ მოგვინო-

დებენ. მიუხედავად პოლონურ-ქართული ლიტერატურული კონტაქტების შესახებ არსებული ვრცელი ლიტერატურისა, ლიტერატურათმცოდნეობაში არ ყოფილა სპეციალური შეპირისპირება რომანტიზმის ეროვნული სკოლებისა, მათი ტიპოლოგიური თანხვდომებისა, არც რომანტიკულ ლიტერატურათა როგორც უშუალო, ისე რუსული რომანტიზმის მეშვეობით შესაძლო კავშირებისა.

მოსაზრებთა პოლუსები იმასთან დაკავშირებით, იცნობდა თუ არა ბარათაშვილი მიცკევიჩის ლექსს, ასეთია: ფრთხილი ვარაუდებიდან იმის შესახებ, რომ ბარათაშვილს ნაკითხული ჰქონდა „ფარისი“, უფრო სწორად, შეუძლებელია არ ჰქონოდა ნაკითხული, ი. მეუნარგიასა და კიტა აბაშიძის მტკიცებამდე, რომ „მერანი“, „ფარისის“ მიბაძვითაა დაწერილი. მომდევნო პერიოდში ბარათაშვილის შემოქმედების ზოგიერთი მკვლევარი სრულიად გამორიცხავს „ფარისის“ გავლენას „მერანზე“.

კიტა აბაშიძე ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის ერთ-ერთი ღრმა მკვლევარი იყო და ადასტურებს "მერანის" და „ფარისის" უდაო კავშირს. „ჩვენ კარგად ვიცით, რომ ეს ლექსი დაწერილია მიცკევიჩის „ფარისის“ მიმსგავსებით. რასაკვირველია, ამით სრულიადაც არა მცირდება ღირსება ამ ლექსისა“.

რაც შეეხება უშუალო გავლენას, ჩვენ სიმონ ჩიქოვანის აზრს ვიზიარებთ: „მერანიც“ აშკარად ეხმიანება მიცკევიჩის „ფარისს“, რომელიც თავის მხრივ აღმოსავლური ლიტერატურის მოტივებს ასახავს. მაგრამ ყველა ეს დამთხვევა არის მხოლოდ საუკუნის სულიერ მღვდარებათა შეხვედრა და არა - გავლენა...“

ამის მიუხედავად, კიტა აბაშიძის გამოკვლევებს აქვს უდიდესი ისტორიულ-ლიტერატურული მნიშვნელობა.

ინგა ფუტკარაძე
ნიკა გიგაური

პოლიტიკური რეალიზმი და პოლიტიკური
რომანტიზმი კიტა აბაშიძის, არჩილ ჯორჯაძისა და
ივანე ჯავახიშვილის ნააზრევში
(შედარებითი ანალიზი)

XX საუკუნის დამდეგს, საქართველოში ერთ-ერთ საინტერესო კვლევით მიმართულებად ჩამოყალიბდა ქართული პოლიტიკური აზროვნების შესწავლა და მისი დამახასიათებელი ნიშნების განსაზღვრა. ისიც უნდა ითქვას, რომ ეს თემა აქტიური განხილვის საგანი იმ მკვლევართა მხრიდან გახდა, რომლებიც ეროვნულ-პატრიოტულ მიმართულებას განეკუთვნებოდნენ, განხილვის აქტუალობა კი იმან განაპირობა, რომ იმდროინდელ საქართველოში ერთმანეთის გვერდით არსებობდა და ერთმანეთს უპირისპირდებოდა ფასეულობებით და აზროვნების სტილით განსხვავებული რამდენიმე პოლიტიკური მიმდინარეობა. ეს პოლიტიკური მიმდინარეობა ორ ჯგუფად შეიძლება გაიყოს. ერთს შეიძლება ეროვნული ვუნოდოთ, მეორეს კი ეროვნულობის უარმყოფელი. აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნის ბოლოს 1832 წლის შეთქმულების შეფასების საკითხი ეროვნული და ანტიეროვნული მსოფლმხედველობის შეჯახების ობიექტად იქცა. აღნიშნული ნაშრომის მიზანია განვსაზღვროთ როგორ ესახებოდათ ქართველ კრიტიკოსებს კიტა აბაშიძეს, არჩილ ჯორჯაძესა და ივანე ჯავახიშვილის ქართული პოლიტიკის ბუნება, როგორ აფასებენ ისინი 1832 წლის შეთქმულებას და რომელ პოლიტიკურ მიმდინარეობას ანიჭებენ უპირატესობას „პოლიტიკურ რეალიზმსა“ თუ „პოლიტიკურ რომანტიზმს“?

საკვლევ კითხვაზე პასუხის გასაცემად თვისებრივი კვლევის მეთოდის, კერძოდ ლიტერატურული წყაროს შინაარსობრივი ანალიზის მეთოდის გამოყენებით, შევისწავ-

ლეთ ქართული პოლიტიკური აზროვნების თავისებურებები: კიტა აბაშიძის 1905 წელს გამოქვეყნებულ წერილი „პოლიტიკური რომანტიზმი: 1832 წლის შეთქმულება და მასში მონაწილე პირები“. ასევე, შესწავლილ იქნა არჩილ ჯორჯაძის 1909 წელს დაწერილი ნაშრომი „თავად-აზნაურული ინტელიგენციის პოლიტიკური აზროვნება მე-19 საუკუნეში“ და ივანე ჯავახიშვილის მიერ 1919 წლის აპრილში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წაკითხული საჯარო მოხსენება „თანამედროვე მომენტის შესახებ“ და იმავე წელს გამოსული ნაშრომი „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში“. აღნიშნული ლიტერატურის ანალიზმა შესაძლებლობა მოგვცა შეგვესწავლა და ერთმეთისთვის შეგვედარებინა აღნიშნული ავტორების დამოკიდებულება პოლიტიკური რეალიზმისა და პოლიტიკური რომანტიზმის შესახებ.

